საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100 სენაკი, შ.რუსთაველის 243
52 11
243, Sh. Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: (0 413) 27 57 97 Fax.: (0413) 27

sakrebulo.ge

E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-

№ 263

16 დეკემბერი 2018 წ.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 15 ნოემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №01/4568 მომართვაზე (სარეგისტრაციო №226) - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 15 ნოემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №01/4568 მომართვაზე (სარეგისტრაციო №226) - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 106^1 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, 106^2 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის, 106^5 მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ნორმატიულ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინიტრაციული წარმოება პროექტზე „სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.“
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა-ნორმატიული ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
3. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2019 წლის 1 იანვრამდე
4. ნორმატიულ ადმისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 26 ნოემბერი.
5. დადგენილების პროექტი „სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გადაეცეს განსახილველად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს - დავით ხუხიას და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს – ვეფხვია რუსიას.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 177-ემუხლისმე-4 ნაწილის შესაბამისად სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველისქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე: ბადრი კალანდარიშვილი